შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

2013 წლის 20 აგვისტოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2015 წლის 13 ნოემბერი ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის გიორგი თავამაიშვილის სახით,
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მაჩაბელის სახით
ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი, წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი თავბერიძის სახით
შემდგომ ტექსტში ერთად წოდებულნი, როგორც - **მხარეები,** შევთანხმდით მასზედ, რომ

1. **ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2013 წლის 20 აგვისტოს მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.**
2. **შეთანხმება 2013 წლის 20 აგვისტოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.**
3. **შეთანხმება შედგენილია ერთ ფურცლად, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.**

მხარეები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი ---------- /გიორგი თავამაიშვილი/
ხელმოწერა. ბ.ა.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორი ---------- /გიორგი მაჩაბელი/
ხელმოწერა. ბ.ა.

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის დირექტორი---------- /ირაკლი თავბერიძე/
ხელმოწერა. ბ.ა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის საქმეში

ქ. თბილისი 13 / ნოემბერი / 2015წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი მაჩაბლის სახით (შემდგომში - **ცენტრი**) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის, გიორგი თავამაიშვილის სახით (შემდგომში - **სამინისტრო**), წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (შემდგომში – მემორანდუმი) ტექსტში ერთად წოდებულნი, როგორც – **მხარეები**, შევთანხმდით ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი
მემორანდუმის მიზანია, მხარეთა ერთობლივი ძალისხმევის პირობებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული პირების (შემდგომში – მიზნობრივი ჯგუფები) პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სამინისტროს ან/და მის სისტემაში მოქმედი შესაბამისი სტრუქტურების შესაძლებლობათა გაძლიერება, ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარებისათვის საჭირო უფლებამოსილებების, მათ მიერ დამოუკიდებლად განსაზღვირისა და განხორციელების თვალსაზრისით.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი
მემორანდუმის საგანია მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის საქმეში ცენტრსა და სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის პირობების განსაზღვრა.

მუხლი 3. მემორანდუმის სამართლებრივი საფუძველი
მემორანდუმის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ერთობლიობაში – საქართველოს კანონმდებლობა და შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობა.

მუხლი 4. ცენტრის აქტივობები
ცენტრი უზრუნველყოფს:
ა) მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარების მიზნით, თავის მიერ შემუშავებული და საამისოდ შერჩეული „ტრენინგ–მოდულების" და სხვა საჭირო აქტივობების განხორციელების უფლების სამინისტროსთვის, დადგენილი წესით, გადაცემას;

ბ) იმ ტრენერთა საერთო წესით შერჩევას და მათი პერსონალური ბაზის ფორმირებას, რომლებიც მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარების მიზნით გადასაცემი „ტრენინგ–მოდულების" და სხვა საჭირო აქტივობების განხორციელებისათვის, საერთოა ორივე მხარისთვის;
გ) მონიტორინგის განხორციელებას, მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარებისათვის გადაცემული „ტრენინგ–მოდულების" და სხვა საჭირო აქტივობების თავისი მონაწილეობით ჩასატარებელ პროცესებზე;
დ) საინფორმაციო ბუკლეტების, პერიოდული გამოცემების, მეთოდური სახელმძღვანელოების, გზამკვლევების და სხვადასხვა მასალის სამინისტროსთვის მიწოდებას, მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარებისათვის გადაცემული „ტრენინგ–მოდულების" და სხვა საჭირო აქტივობების ჯეროვანი ხარისხით ჩატარების მიზნით;
ე) მემორანდუმის მიზნებისათვის სხვა საჭირო უფლებამოსილებების განხორციელებას.

მუხლი 5. სამინისტროს აქტივობები
სამინისტრო უზრუნველყოფს:
ა) მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარების მიზნით, გადაცემული „ტრენინგ–მოდულების" და სხვა საჭირო აქტივობების ჩატარების ორგანიზებას, მისი ლოჯისტიკური, ფინანსური და სხვა საჭირო მხარის ხელშეწყობას;
ბ) მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარების მიზნით, ცენტრის მიერ მიწოდებული „ტრენინგ–მოდულების"და სხვა საჭირო აქტივობების ჩატარების ორგანიზებას მემორანდუმის მე–4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ბაზიდან მისი ეგიდით შერჩეული ტრენერების მეშვეობით, აქტივობის ჩამტარებელი სუბიექტის მხრიდან მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე;
გ) მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარების მიზნით, ტრენინგის და სხვა საჭირო აქტივობების უშუალოდ ჩამტარებელი სუბიექტის მხრიდან სერტიფიკატის/ცნობის გაცემას, მსმენელის მიერ გავლილი აქტივობის დადასტურების მიზნით;
დ)მემორანდუმის მიზნებისათვის სხვა საჭირო უფლებამოსილებების განხორციელებას.

მუხლი 6. სპეციალური დათქმები
1. ცენტრი იტოვებს უფლებას, მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თავისი „ტრენინგ–მოდულების" და სხვა აქტივობების დამოუკიდებლად ჩატარებაზე, თანმდევი ვალდებულებების გათვალისწინებით.
2. სამინისტრო იტოვებს უფლებას, მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თავისი ინიციატივით, ცენტრისგან დამოუკიდებლად შემუშავებული „ტრენინგ–მოდულების" და სხვა აქტივობების ჩატარების ორგანიზებაზე, თანმდევი ვალდებულებების გათვალისწინებით.
3. გადაცემული „ტრენინგ–მოდული" და სხვა აქტივობა, გამოყენებისას ინარჩუნებს მის გადაცემამდე არსებულ ფორმას და შინაარსს, მიმღების მხრიდან მისი მოდიფიცირების დაუშვებლობის, ცენტრის მიერ განსაზღვრული ჩატარების გრაფიკის, პირობებისა და ცენტრალური სახელმწიფო პოლიტიკის განუხრელი გათვალისწინების პირობით.
4. მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარებისათვის „ტრენინგ–მოდულების"და სხვა აქტივობების გადაცემის შესახებ თხოვნის საფუძველია, სამინისტროს წერილობითი მიმართვა, რომელიც უნდა იყოს დასაბუთებული და დაფუძნებული სამართლებრივ საფუძვლებზე ან/და სიღრმისეული კვლევის შედეგებზე ან/და კანონმდებლობით ნებადართული სხვა აქტივობებიდან გამომდინარე საჭიროებებზე.
5. მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარებისათვის გადაცემულ „ტრენინგ–მოდულებზე" და სხვა აქტივობებზე ტრენერების პერსონალური შერჩევა და ტრენინგის

ჩატარების გრაფიკი, წინასწარ, წერილობით თანხმდება ცენტრთან, ამ უკანასკნელის ეგიდით მიმდინარე პარალელური სასწავლო აქტივობების გადაფარვის თავიდან აცილებისა და მასთან დაკავშირებით, ცენტრის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით.

6. სამინისტროსათვის გადაცემას დაქვემდებარებული „ტრენინგ–მოდულების" ნუსხა, მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარების სხვა აქტივობების გადაცემისა და ამ პროცესის ადმინისტრირების საკითხები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რეგულირდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. დაუშვებელია გადაცემული „ტრენინგ–მოდულების"და სხვა აქტივობების სამინისტროს მხრიდან ნებისმიერი მესამე პირისთვის გადაცემა ან მათ სასარგებლოდ სხვაგვარი დატვირთვა, ცენტრის თანხმობის გარეშე.

8. გადაცემული „ტრენინგ–მოდულის" და სხვა აქტივობის სხვადასხვა ობიექტური მიზეზით ცენტრში შეცვლის, მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, ცენტრი აცნობებს სამინისტროს. სამინისტროსათვის გადაცემული იდენტური „ტრენინგ–მოდული" და სხვა აქტივობა, ადეკვატურად იზიარებს შესაბამის რეჟიმს.

9. მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული განვითარებისათვის გადაცემულ „ტრენინგ–მოდულებზე" და სხვა აქტივობებზე, საანგარიშო ინფორმაცია სამინისტროს მხრიდან ცენტრს მიეწოდება 3 (სამ) თვეში ერთხელ , ხოლო საჭიროებისას – ცენტრის მოთხოვნისთანავე.

10. „ტრენინგ–მოდული"და სხვა აქტივობა სამინისტროს გადაეცემა სარგებლობის უფლებით.

მუხლი 7. კომუნიკაცია

1. მემორანდუმის ფარგლებში საჭირო ოფიციალურ კომუნიკაციას მხარეები ამყარებენ, როგორც წესი, წერილობითი სახით.

2. მხარეებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ და გამოყონ კომუნიკაციაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

მუხლი 8. დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობა

მხარეები ადასტურებენ ურთიერთპატივისცემას და მზაობას მემორანდუმის პირობების შესრულებაზე, ამასთან, აღიარებენ, რომ მემორანდუმის გაფორმების მომენტში, მათთვის არ არსებობს სამართლებრივად არანაირი დამაბრკოლებელი გარემოება, რაც ხელს შეუშლის, შეაფერხებს ან/და შეუძლებელს გახდის მემორანდუმის გაფორმებას და მისი პირობების ჯეროვან შესრულებას.

მუხლი9. მემორანდუმის ენა

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე და მისი სხვა ენაზე თარგმნის შემთხვევაში, მემორანდუმის ინტერპრეტაციისას, ქართულ ენაზე შედგენილს გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა.

მუხლი10. დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმთან დაკავშირებით არსებული ხარვეზი ან მასში ღიად დაოვებული სხვა საკითხი (ფორს–მაჟორი და სხავ.), წესრიგდება კანონმდებლობით.

2. მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად გამოცხადდეს მხარეებს შორის ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე მანამდე არსებული ნებისმიერი შეთანხმება.

3. მემორანდუმიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმის გამოყენებით.

4. მემორანდუმში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
5. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლები განისაზღვრება კანონმდებლობით.
6. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, 4 (ოთხ) ფურცელზე და ინახება მხარეებთან.
7. მემორანდუმი ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მისამართი: საქართველო, თბილისი 0167, გმირკურსანტთა ქ. №1	მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი 6015, ლ. გუდიაშვილის ქ.N4
გიორგი მაჩაბელი დირექტორი	გიორგი თავამაიშვილი მინისტრი